№44

ხელშეკრულება №16/06-2

ქ. თბილისი 16 ივნისი 2011წ.

შპს "იუ–ჯი–თი" (შემდგომში "კომპანია") მისი დირექტორის გურამ ხოჯანაშვილის სახით, ერთის მხრივ და **ქ.თბილისი 198–ე საჯარო სკოლა** (შემდგომში "მყიდველი"), წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის თეონა ყაჭეიშვილის სახით, მეორეს მხრივ, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპანიის მიერ მყიდველისათვის კომპიუტერული ტექნიკის (შემდგომში „საქონელი") მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა;

1.2. საქონლის აღწერა მოცემულია დანართი №1–ში, რომელიც შედგება 1 ფურცლისგან. იგი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ხელმოწერილია საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, რომელთა ხელმოწერებიც განმტკიცებულია ორგანიზაციის ბეჭდით;

1.3. დანართში მითითებულია: საქონლის დასახელება და კომპლექტაცია, მოდელი, რაოდენობა, ღირებულება, მხარეთა რეკვიზიტები და სხვა აუცილებელი მონაცემები;

II. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. კომპანია ვალდებულია, განახორციელოს დანართში მითითებული საქონლის მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის თანახმად;

2.2. საქონლის მიწოდება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. საკუთრების უფლება გადადის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან. საქონლის მიწოდებამდე საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკი ეკისრება კომპანიას;

2.3. კომპანია ვალდებულია, მიაწოდოს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

2.4. „ნივთობრივად უნაკლო" საქონლის ქვეშ მხარეები გულისხმობენ საქონელს, რომელიც შეესაბამება მწარმოებლის საგარანტიო ხარისხს. „უფლებრივად უნაკლო" საქონლის ქვეშ გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მყიდველს ნაყიდი საქონლის მიმართ;

2.5. მყიდველი ვალდებულია, მიიღოს და აანაზღაუროს მიწოდებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის თანახმად;

2.6. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას დაიცვან ამ ხელშეკრულების ტექსტისა და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

III. სახელშეკრულებო ღირებულება, ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება (შემდგომში "სახელშეკრულებო ღირებულება") შეადგენს 310.00 (სამასათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2. ანგარიშსწორების პირობაა:

- უნაღდო ანგარიშსწორება;
- სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის გადახდა საქონლის მიწოდებიდან 10 (ათი) დღისა;

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ქართულ ლარში;

IV. მიწოდების წესი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა;

4.2. დანართში მითითებული საქონლის მიწოდება ხორციელდება თბილისის ტერიტორიაზე, მყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე;

V. ხელშეკრულების დარღვევა, რეკლამაცია, უთანხმოების გადაჭრა

5.1. მიწოდების/ანგარიშსწორების ვადის დარღვევისათვის დამრღვევი მხარე მეორე მხარეს გადაუხდის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის/გადაუხდელი (დაგვიანებით გადახდილი) თანხის 0.1 %-ს; პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევ მხარეს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხარის მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, თუ მხარეები სხვა პირობაზე არ შეთანხმდებიან. პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევ მხარეს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.3. იმ შემთხვევაში, თუ 6.1. პუნქტში მითითითებული ხელშეკრულების დარღვევა, მხარეთა მიერ გაგრძელდა 60 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. დამრღვევი მხარე ვალდებულია სრულად გადაიხადოს 6.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო;

5.4. იმ შემთხვევაში თუ მყიდველი უარს იტყვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვაზე მას ' დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%–ის ოდენობით და საქონელი დარჩება კომპანიას;

5.5. სახელშეკრულებო საქონლის ასორტიმენტზე და რაოდენობაზე, ასევე მომსახურების არაჯეროვნად შესრულებაზე რეკლამაცია (პრეტენზია) კომპანიას წარედგინება მყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სახელშეკრულებო საქონელის მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში;

5.6. კომპანია ვალდებულია რეკლამაცია (პრეტენზია) განიხილოს მისი მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, თუ ამ ვადაში იგი არ უპასუხებს, რეკლამაცია (პრეტენზია) ჩაითვლება მიღებულად და აღიარებულად;

VI. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა;

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

VII.ხელშეკრულების მოქმდების ვადა და პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ვალდებულებათა სრულად ამოწურვამდე;

7.2. ორივე მხარე უფლებამოსილია, მოშალოს ეს ხელშეკრულება ურთიერშეთანხმებით ან ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას;

VIII. დავათა გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. მხარეები ეცდებიან პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება და დავა;

8.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

IX. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით, წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვითა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

9.2. ხელშეკრულების რომელიმე კონკრეტული მუხლის/პუნქტის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას;

9.3. მხარეებს არ აქვთ უფლება, წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება კომპანიაში, ხოლო მეორე – მყიდველთან;

X. მხარეთა რეკვიზიტები

კომპანია:

შპს "იუ-ჯი-თი"
ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა
0179, თბილისი, საქართველო
ს/კ: 204 892 964
ტელ: 22 05 05/ფაქსი: 22 02 06
საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი" (ცენტ.ფილ.)
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

/გ.ხოჯანაშვილი/

მყიდველი:

ქ.თბილისი 198–ე საჯარო სკოლა
გოცირიძის ქ. №2
თბილისი,საქართველო
ს/კ: 202 887 778

/თ.ყაჭეიშვილი/

ხელშეკრულება №16/06-2
16 ივნისი 2011წ.

დანართი №1

#	დასახელება	რ–ბა	ერთ.ფასი	მთლიანი ფასი
1	HP 65W Smart AC Adapter	1	180.00 ლარი	180.00 ლარი
2	HP Series 8-cell Primary Battery	1	130.00 ლარი	130.00 ლარი
			სულ ჯამი დღგ–ს ჩათვლით:	**310.00** ლარი

კომპანია:

შპს "იუ–ჯი–თი"
ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა
0179, თბილისი, საქართველო
ს/კ: 204 892 964
ტელ: 22 05 05/ფაქსი: 22 02 06

/გ.ხოჯანაშვილი/

მყიდველი:

ქ.თბილისი 198–ე საჯარო სკოლა
გოცირიძის ქ. №2
თბილისი,საქართველო
ს/კ: 202 887 778

/თ.ყაჭეიშვილი/